ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

საექთნო საქმის

ინგლისურენოვანი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N4.

თარიღი: 10.02.2025 წ.

დადგენილება N55.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
საექთნო საქმე **Nursing**
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
I საფეხური, ბაკალავრიატი First level, Bachelor
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა Higher Education Academic Programme
დეტალური სფერო და კოდი
საექთნო და სამეანო საქმე - 0913 Nursing and Midwifery - 0913
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
საექთნო საქმის ბაკალავრი Bachelor of Nursing
სწავლის ხანგრძლივობა

სწავლების ხანგრძლივობა 8 სემესტრი (4 აკადემიური წელი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
240 (ECTS) კრედიტი
სწავლების ენა
ინგლისური ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი
ნინო კასრაძე თამარ შარაშენიძე

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
საქართველოს მოქალაქეებისათვის - პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე. **ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე:** ▪ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება; ▪ საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში (ინგლისურენოვან ქვეყანაში); ▪ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ▪ საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა),

რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ინგლისური ენის კომპონენტი:

ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაში ინგლისური ენის ჩაბარება აუცილებელი პირობაა (უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კოეფიციენტებისა და საგნობრივი მინიმალური ბარიერის გათვალისწინებით).

უცხოელი სტუდენტებისათვის ინგლისური ენის კომპონენტის შეფასება/დადასტურება ხორციელდება:

პირის მიერ მინიმუმ ინგლისური ენის B1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენით (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®)EnglishScore და სხვ. ან ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) წარმოდგენისას და ასევე საქართველოს მოქალაქისთვის, რომელმაც ინგლისურ ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა).

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ მიერ ორგანიზებული სტანდარტიზებული (4 კომპონენტიანი: მოსმენა, წაკითხული ტექსტის გააზრება, ანალიზი და საუბარი) გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სადაც დაუდასტურდებათ ინგლისური ენის ცოდნის ზემოხსენებული დონე (B1).

მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან/პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუს შეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

შენიშვნა: სწავლების მე - 5 სემესტრის დაწყებამდე სტუდენტი ვალდებულია ინგლისური ენის B2 დონე დაადასტუროს.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა

ერთი კრედიტი შეესაბამება 30 აკადემიურ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო საათებს და სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 - ისა. სტუდენტები ფასდებიან 100 ქულიანი შეფასების სისტემით. ყველა კურსი მოიცავს მიმდინარე აქტივობებს (40 ქულა) ერთ შუალედურ გამოცდას (20 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა) კვირების წლიური რაოდენობა არის 40 კვირა. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა შეესაბამება 20 (ოცი) კვირას, რომელიც მოიცავს 15 (თხუთმეტი) სასწავლო კვირას, 2 (ორი) კვირა შუალედური გამოცდისათვის, 2 (ორი) კვირას დასკვნითი გამოცდებისთვის და 1 (ერთი) კვირას დამატებითი გამოცდებისთვის. ყოველი კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 (ოთხი) აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამის დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამატებითი სემესტრის/სემესტრების განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა ითვალისწინებს დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში ანალოგიური პროგრამების განხორციელების გამოცდილებას. პროგრამა ორიენტირებულია მაღალკომპეტენტური, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის გამოშვებაზე, რომელიც აკმაყოფილებს საექთნო განათლების გლობალური ჩარჩოს (Global Pillars Framework) - მოთხოვნებს (პროფესიონალიზმი და ლიდერობა, სამუშაო ძალის განვითარება, კვლევა და განათლება).

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა ეყრდნობა - საექთნო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივას „2005/36/EC“ და ბაზრის კვლევის შედეგებს, სადაც გამოიკვეთა ექთნების დეფიციტი და საჭიროება მსოფლიო დონეზე, რომელიც კიდევ უფრო გამწვავდება მომდევნო წლებში.

პროგრამაში გამოყენებულია ნახევრად ინტეგრირებული მიდგომა, პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო კურსი შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დოკუმენტის შინაარსის გათვალისწინებით, რის შედეგადაც პროგრამა უზრუნველყოფ ჩარჩოს შესაბამისი დონის (მე - 6 დონე) სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული კურსისთვის შემუშავებულია კონკრეტული სილაბუსები, რომელთაგან თითოეული მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს. მაგალითად, სასწავლო კურსების სერია "სხეულის სტრუქტურები I - II” სწავლობს ორგანოთა სისტემებს ანატომიურ, ჰისტოლოგიური და რენტგენოლოგიურ ჭრილში, რაც სტუდენტებს აწვდის ყოვლისმომცველ ინფორმაციას ორგანოთა სტრუქტურის, ორგანოთა ჰისტოლოგიური შემადგენლობისა და რადიოლოგიური მახასიათებლების შესახებ.

კლინიკური უნარების კომპონენტები თავიდანვე ინტეგრირებულია კურიკულუმში, კლინიკური უნარების განვითარება არის სასწავლო კურსის ნაწილი „საექთნო პროფესიული უნარები", რომელიც ტარდება უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და სიმულაციურ გარემოში. ეს კურსი მოიცავს ოთხ კომპონენტს (I - IV), აღსანიშნავია, რომ კლინიკური უნარები ინტეგრირებულია ბიოეთიკის კურსთან, კომუნიკაციის უნარებთან, ლიდერობასთან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოიმუშაოს კომუნიკაციური და ლიდერობის უნარები

ეთიკური ღირებულებების გათვალისწინებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი ექთან ბაკალავრისათვის.

კლინიკური კომპონენტები (ჰოსპიტლებში) თანდათანობით ინერგება მეხუთე სემესტრიდან. აქტივობები ტარდება კლინიკურ დაწესებულებებში და აფილირებულ კლინიკებში, პროგრამის განმახორციელებელი კვალიფიციური (ლექტორი) მეთვალყურეობის ქვეშ. კლინიკურ კურსებში ხორციელდება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების (Knowledge, skills, attitude) განვითარება, რაც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სწავლის შესაბამისი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე საექთნო საქმის ბაკალავრების მომზადებას.

პროგრამა მოიცავს ოთხ ეტაპს:

- **პრეკლინიკური საბაზისო ფაზა (1 - 2 წელი)**: ფოკუსირებულია ორგანიზმის ნორმალური სტრუქტურისა და ფუნქციის შესწავლაზე, ამავდროულად სტუდენტები შეისწავლიან საექთნო საქმის საფუძვლებს, საექთნო პრაქტიკის ისტორიას, მიმოიხილავენ ბიოეთიკის ასპექტებს, რომელიც გადის ადამიანის ღირებულებებზე, გამოიმუშავებენ კომუნიკაციურ უნარებს (როგორც ვერტიკალური ისე ჰორიზონტალური), ასევე გუნდური მუშაობის, ხელმძღვანელობის (leading) მართვის (managing) და დელეგირების უნარებს საექთნო მართვის ეფექტური განხორციელებისათვის, ექთნის როლს საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების და პოპულაციური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საკითხებში. ამავე ფაზაში იწყება საბაზისო კლინიკური უნარების შესწავლა ინსტიტუციაში არსებულ კლინიკურ სიმულაციურ ცენტრში, რომელიც აღჭურვილია უახლესი მოდელის მანეკენებითა და სიმულატორებით, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა განახორციელონ ინვაზიური და არაინვაზიური პროცედურები სიმულატორებზე, გამოიმუშაონ მედიკამენტების კალკულაციის უნარები, შეისწავლონ ინფექციის კონტროლის საკითხები, მათ შორის პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენება, ნარჩენების მენეჯმენტი და ა.შ.
- **კლინიკური ფაზა (2 - 3 წელი)** - აღრმავებს ცოდნას და აძლიერებს უნარებს საექთნო პროცესში, რომლის შესწავლა იწყება სწავლების საბაზისო წლებში, სტუდენტები შეისწავლიან საექთნო შეფასებას, დიაგნოსტირებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებას, დოკუმენტირებას, რეპორტინგის SBAR პრინციპებს. მათ შორის საექთნო საქმეში ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. სტუდენტები მონაწილეობენ კლინიკურ როტაციებში სხვადასხვა დეპარტამენტებში.
- **გაძლიერებული კლინიკური და სპეციალიზაციის ფაზა 4 წელი:** სტუდენტები იძლიერებენ სხვადასხვა კლინიკური სწავლების კომპონენტებს (მაგ: პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა, გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა, საოჯახო მედიცინის ექთანი და ა.შ.) და ასევე, ხდება კვლევითი კომპონენტის შეჯამება. აღნიშნულ ფაზაში სტუდენტები იღრმავებენ და განამტკიცებენ კლინიკურ და კვლევით აქტივობებს.

ენის კომპონენტი: ქართული ენის სწავლება განაწილებულია 3 (სამი) სემესტრზე (12 ECTS), რაც ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტების სოციალიზაციას და პაციენტებთან კომუნიკაციას კლინიკურ დონეზე. გარდა ამისა, ქართულენოვან სტუდენტებს სთავაზობენ გერმანული ენის კურსებს 12 კრედიტი) ლინგვისტური ბალანსისთვის.

კვლევის კომპონენტი: კვლევის კომპონენტი მოიცავს 11 ECTS - ს. კურსები მოიცავს კვლევის მეთოდებს, მონაცემთა შეგროვებას და ბიოსტატისტიკურ ანალიზს. პროგრამა მთავრდება საბაკალავრო ნაშრომით, სადაც სტუდენტები

გეგმავენ, ატარებენ (ზედამხედველობით - ობსერვაციული, გამოკითხვა - survey, სისტემური მიმოხილვა და ა.შ.), აანალიზებენ და წარადგენენ კვლევას, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო უნარების ჩამოყალიბებას.

საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 212 ECTS;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 13 ECTS;

ზოგადი/თავისუფალი/ (სავალდებულო და არჩევითი) სასწავლო კურსები - 15 ECTS.

შენიშვნა: დეტალურად იხ. სასწავლო გეგმაში.

თეორიული სწავლების ხანგრძლივობა - წარმოდგენილია 1535 საკონტაქტო საათით;

კლინიკური სწავლების კომპონენტის ხანგრძლივობა წარმოდგენილია 2309 საკონტაქტო საათით.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა.

თავისუფალი კომპონენტები მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსს/საგანს, რომლის/რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო საკითხებზე თვალსაწიერის გაფართოების მიზნით.

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ ქმნის თანამედროვე სასწავლო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით. უნივერსიტეტი მუდმივცვალებად ციფრულ ეპოქაში უზრუნველყოფს მოამზადოს შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და სოციალურად მაღალი ცნობიერების მქონე თაობები. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მიაწოდოს საექთნო სფეროში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების მქონე დარგის კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.

მისიიდან გამომდინარე „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს სტრატეგიულად მოაზროვნე სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ეფექტური მართვისა და განვითარების უნარი.

პროგრამის აქტუალობა

პროგრამის „საექთნო საქმე“ აქტუალურობა ეყრდნობა გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნებს (Sustainable Development Goals), რომელთაგან მესამე მიზანი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ეძღვნება (SDG 3-Ensure health Lives and Promote Wellbeing for All Ages).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით ბოლო წლებში ექთნების საერთო რაოდენობა მსოფლიოში ჯანდაცვის სექტორის ყველზე დიდ დასაქმებულ სექტორს 59%-ს შეადგენდა, რაც რიცხობრივად დაახლოებით 28 მილიონზე მეტი პიროვნებით იყო წარმოდგენილი.

საქსტატის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში ექთნების ჯამური რაოდენობა შეადგენს 21 823 (2023 წლისათვის) რაც 100 ერთეულით მცირეა წინა წლის (2022) მონაცემებთან შედარებით.

ჯანდაცვის მუშაკთა ასაკობრივი (დაბერების) მაჩვენებელი საფრთხეს უქმნის მედდების სტაბილურობის სიმყარეს. გლობალურად, საექთნო მუშახელი შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ არსებობს უთანასწორობა რეგიონებში. დაახლოებით 18 ქვეყანა განიცდის დიდ სიმწვავეს ექთნების ასაკობრივი მარჟის გამო.

ინდოეთში 1000 მოსახლეზე მხოლოდ 1,96 მედდაა, რაც გაცილებით დაბალია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდებულ მაჩვენებელზე - სამი მედდა 1000 მოსახლეზე.

არაბეთის ქვეყნები განიცდის მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდას, რაც დამატებით ზეწოლას ახდენს ჯანდაცვის სერვისებზე. მაგალითად, მხოლოდ საუდის არაბეთს, სავარაუდოდ 2030 წლისთვის დასჭირდება დამატებით 33,000 მედდა, რათა დააკმაყოფილოს თავისი მზარდი და დაბერებული მოსახლეობის მოთხოვნები

შეერთებული შტატები მსგავსი პრობლემის წინაშე დგას, რადგან მედდების მნიშვნელოვანი ნაწილი საპენსიო ასაკს უახლოვდება. ამ დაბერებული სამუშაო ძალის შედეგებს ემატება უკვე არსებული დეფიციტი, რაც მოითხოვს ახალი ექთნების მომზადებას პენსიაზე გასულების ჩანაცვლებისთვის ევროპის ქვეყნებში ჯანდაცვის მუშაკების 30% (მათ შორის ექთნები) 55 წელზე უფროსი ასაკისაა.

საჭიროა მინიმუმ 4.7 მილიონი ახალი ექთანი არსებული საპენსიო ასაკის ჩასანაცვლებლად. 2012 წელს გერმანიაში ექთნების დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით დაიგეგმა ექთნების რაოდენობის ზრდა, რაც მოიცავს 2030 წლისთვის 263 000 - დან 500 000 - მდე ექთნების რაოდენობის გაზრდას.

დიდი ბრიტანეთი მწვავედ განიცდის ექთნების დეფიციტს, რაც ასახულია ნაციონალური ჯანდაცვის სერვისების (National Health Service) ვებ - გვერდზე, სწორედ მათივე განცხადებით იწვევენ ექთნებს ინდოეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანი და პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, არის გაზომვადი და რეალისტური. პროგრამა „საექთნო საქმე“ მრავალფეროვანია და ფოკუსირებულია საექთნო დარგში მულტიდისციპლინური ცოდნის გამოყენებაზე.

პროგრამის მიზნები:

1. ფუნდამენტური საექთნო საქმის პრინციპების ცოდნით აღჭურვა, როგორც თეორიული, ისე კლინიკურ საექთნო საქმეში, მათ შორის ქცევით, სოციალურ და საექთნო კვლევაში;
2. საექთნო პროცესის ეფექტური განხორციელება: საექთნო შეფასების, დიაგნოსტირების, საექთნო

მართვისა და პრევენციული ღონისძიებების, მათ შორის პაციენტის/პოპულაციის განათლების - ეფექტური ინტერპერსონალური, კომუნიკაციური და პროფესიული უნარ - ჩვევების და ეთიკურ - სამართლებრივი პრინციპების გამოყენებით;

3. საექთნო კვლევითი პრინციპების და კლინიკური სიახლეების დამოუკიდებლად მოძიების, ანალიზისა და ცოდნის გამოყენება ჯანმრთელობის პრობლემების გადასაწყვეტად.

პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და აღწერს იმ ცოდნას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისათვის მყარი საფუძვლის შექმნას შემდგომი საფეხურის აკადემიური პროგრამების დაუფლებისათვის.

პ რ ო გ რ ა მ ი ს ს წ ა ვ ლ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი:

ცოდნა და გაცნობიერება:

1. **აღწერს** საბაზისო ბიოსამედიცინო, ქცევითი და სოციალური, ჯანდაცვის, კლინიკური და კვლევითი მეცნიერებების ფუნდამენტური საკითხების ცოდნას და განსაზღვრავს კორელაციას საექთნო მართვასთან;
2. **იდენტიფიცირებს** საექთნო პროცესს - საექთნო შეფასება, საექთნო დიაგნოსტირება, დაგეგმვა, დანერგვა, შეფასება, საექთნო დოკუმენტირება და ექთნის როლს ჯანმრთელი და დღეგრძელი პოპულაციის ფორმირებაში.

უნარი:

3. **ახორციელებს** ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტთან/პაციენტის ახლობლებთან (კომპეტენციის ფარგლებში), კოლეგებთან და საზოგადოებასთან ეთიკურ - სამართლებრივი პრინციპების დაცვით, ექთნის პასუხისმგებლობების გათვალისწინებით;
4. კომპეტენციის ფარგლებში **მართავს** საექთნო პროცესს - სხვადასხვა სამედიცინო დისციპლინებში ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, საექთნო დიაგნოსტიკის პრინციპების გამოყენებითა და საექთნო შეფასების შედეგების ანალიზით **აღგენს** საექთნო დიაგნოზს;
5. **შეიმუშავებს** საექთნო მოვლის გეგმას ინდივიდზე და სიტუაციაზე მორგებულს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებით და **ატარებს** პაციენტების საექთნო მოვლას და მოვლის კოორდინირებას კომპეტენციის ფარგლებში, საექთნო მოვლის შედეგების შეფასებითა და ანალიზით;
6. **ატარებს** საბაზისო საექთნო კლინიკურ პროცედურებს: როგორც ინვაზიური (სიმულატორზე) ასევე არაინვაზიური (პაციენტზე, SP პაციენტზე - უშუალო სუპერვიზერის ხელმძღვანელობის ქვეშ, პაციენტის ინფორმირებული თანხმობის შემდეგ) - ჩვენების, უკუჩვენების და გართულებების გათვალისწინებით, ასევე ინფექციის კონტროლისა და პაციენტის უსაფრთხოების ნორმების დაცვით, მათ შორის მედიკამენტების კალკულაციასა და ადმინისტრირებას;
7. უახლესი გაიდლაინების და პროტოკოლების შესაბამისად **ამოიცნობს** გადაუდებელ მდგომარეობებს და **ატარებს** პირველად გადაუდებელ დახმარებას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, მათ შორის ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და (BLS) , ანაფილაქსური შოკის დროს დახმარება და სხვა;

8. **მუშაობს** სამედიცინო მულტიკულტურულ გარემოში როგორც ლიდერი და როგორც გუნდის წევრი ეთიკურ სამართლებრივი პრინციპების გამოყენებით პაციენტის ღირსების, უფლებების პატივისცემის გათვალისწინებით;
9. დოკუმენტაციის წარმოებისა და საექთნო საქმის პრაქტიკული საქმიანობისათვის ეფექტურად **იყენებს** ინფორმაციასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს კონფიდენციალობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად;
10. პოპულაციური ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად **ახორციელებს** პაციენტის განათლებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას კომპეტენციის ფარგლებში ეთიკურ სამართლებრივი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;
11. **აფასებს** საექთნო/სამედიცინო მომსახურების ხარისხს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საშუალებით;
12. **ატარებს** კვლევას კვლევის ეტაპების გათვალისწინებით (პრობლემის იდენტიფიცირება, ლიტერატურის მოძიება, კვლევის დიზაინის შედგენა, მონაცემების შეგროვება და ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება) სამეცნიერო კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

13. ახორციელებს საექთნო საქმიანობას პასუხისმგებლობითა და ანგარიშვალდებულებით, აფასებს საკუთარი და სხვისი საქმიანობას ობიექტურად, სოციო - კულტურული და ეთიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

კურსდამთავრებული დარგობრივთან ერთად შეიძენს ზოგად ტრანსფერულ უნარებს და გამოცდილებას :

1. საბაზისო მეცნიერების, უცხო ენის ფუნდამენტური საკითხების ცოდნა და ამ უკანასკნელის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება;
2. მონაცემების კრიტიკული შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, წერილობითი კომუნიკაციის უნარი. დისკუსიებში მონაწილეობა, პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკება;
3. სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი: ახალი ინფორმაციის მოპოვებისა და მისი გამოყენების უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია სწავლება - სწავლის შემდეგი მეთოდოლოგია:

- **ლექცია** - ტარდება დიდ ჯგუფში, სტილი მნიშვნელოვნად ვარირებულია. ის ეხმარება სტუდენტს თემის კარგად გაგებაში, პრეზენტაცია: დაზუსტებულია (ლექტორს ესმის საგანი და იცის როგორ მიაწოდოს ეს გაგება სხვებს), აუდიტორია ჩართულია და ინტერესები ლექციის შინაარსის მიმართ ნათელია, ლექტორი ასტიმულირებს მათ იყვნენ აქტიური მოსწავლეები და არსებობს ემოციური სტიმულაცია (შთამაგონებელი, ამაღელვებელი და მოსწავლეებზე ზრუნვა);
- **შებრუნებული საკლასო ოთახი** (FC - Flipped Classroom) ტარდება დიდ ჯგუფში, სტუდენტებს ეძლევათ

წვდომა ლექციაზე ჩვეულებრივ წარმოდგენილ ინფორმაციაზე ლექციის ჩანაწერების ან სხვა სასწავლო წყაროების მეშვეობით. ისინი ამას ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფში სწავლობენ. ამის შემდეგ, სტუდენტები ხვდებიან ლექტორს, როგორც დიდი ჯგუფი, როდესაც ისინი განიხილავენ სირთულის სფეროებს ან იყენებენ მიღებულ ინფორმაციას კლინიკური ან სხვა პრობლემების გადასაჭრელად;

- **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ - ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს თვალსაწიერის გაფართოების მიზნით;
- **პრეზენტაცია/დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ეხმარება, თვალსაჩინო გახდეს სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, რაც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ;
- **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;
- **ანალიზის მეთოდი** - ეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
- **სინთეზის მეთოდი** - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას;
- **ახსნა - განმარტებითი მეთოდი** - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს უწყობს ჯგუფის მაქსიმალურ ჩართულობას საკითხთა განხილვის პროცესში, სტუდენტის ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარი აზრის დასაბუთების და სხვათა აზრის პატივისცემის უნარს;
- **ელექტრონული სწავლება (E - learning)** - ეს მეთოდი ითვალისწინებს სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენებას. სასწავლო კურსის სილაბუსში კონკრეტულად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები;
- **PBL** - ხორციელდება მცირე ჯგუფში, ფოკუსირებულია სტუდენტის სწავლებაზე და წარმართავს სასწავლო აქტივობებს „საჭიროების ცოდნის“ საფუძველზე. PBL სწავლების მიდგომა ვარირებს „პრობლემის“ პროცესის საფეხურების, ბუნების, ფორმატის და სტუდენტის მხარდაჭერის დონის მიხედვით;
- **CBL** - ხორციელდება მცირე ჯგუფში, განიხილება კლინიკური ქეისები როდესაც ხორციელდება თეორიის დაკავშირება პრაქტიკასთან სტუდენტის ცოდნის გამოყენებით, შემთხვევა შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც რეალური პაციენტიდან (საავადმყოფოში ან საზოგადოებაში), ასევე სიმულირებული პაციენტიდან და ვირტუალური პაციენტიდან. შემთხვევა წარმოდგენილია, როგორც წესი, როგორც ფორმალური

სასწავლო აქტივობა, რომელიც განვითარებულია ტრადიციულ კლინიკურ გამოცდილებაზე დამატებით;

- **Brainstorming** - ეს არის შემოქმედებითი აზროვნების სავარჯიშო, რომლის დროსაც ჯგუფის წევრები წარმოქმნიან რაც შეიძლება მეტ იდეას კრიტიკის გარეშე ან ეჭვქვეშ აყენებენ მათ მართებულობას, სანამ დრო ან იდეები არ ამოიწურება. შემდეგ განიხილება იდეები. ეს მიდგომა განსაკუთრებით ღირებულია კრეატიულობის წახალისებისთვის და ახალი იდეების გენერირებისთვის;
- **ექთანი - პაციენტის როლების შესრულება/იმიტაცია/** ე.წ. როლური თამაში - სტუდენტები ქმნიან სცენარს, რომელიც თავის მხრივ ექთნის ან პაციენტის როლს ასრულებენ. როლური თამაში განსაკუთრებით ღირებულია კომუნიკაციის საკითხებისა და დამოკიდებულებების (attitude) შესასწავლად;
- **CBCR – Case-based Clinical Reasoning) კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების მეთოდი** - კლინიკური აზროვნების განვითარებისთვის (მეთოდის გამოიყენება. აღნიშნული მეთოდები სტუდენტს ეხმარება გამოიყენოს მის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნა კონკრეტული კლინიკური პრობლემის დამოუკიდებლად გადასაჭრელად, ასევე გამოიმუშაოს გუნდური მუშაობის უნარი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია საექთნო საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის;
- **პაციენტის საწოლთან სწავლება (BT - Bedside Teaching)** - კლინიკური სწავლების მეთოდია რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს შეიძინოს (განიმტკიცოს) ანამნეზის შეკრებისა და პაციენტის შეფასების უნარები. პროფესიულ დამოკიდებულებასთან ერთად, სწავლების ეს მეთოდი აერთიანებს დიაგნოსტიკურ პროცესს და პაციენტის მოვლას შეიცავს რა, განსაზღვრულ კლინიკურ, დიაგნოსტიკურ, საკომუნიკაციო, ეთიკურ უნარებსა და პროფესიულ აზროვნებას;
- **„ჯგუფური სწავლება“ (TBL - Team Based Learning).** ამ მეთოდის გამოყენების დროს, ისევე, როგორც „შებრუნებული კლასის“ შემთხვევაში, სტუდენტებს წინასწარ აწვდიან სადისკუსიო მასალის თემატიკას. მეცადინეობებზე სტუდენტები იყოფიან 5 - 6 კაციან ჯგუფებად და დამოუკიდებლად მსჯელობენ დაყენებულ პრობლემაზე. ცოდნა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;
- **CBD (Case - based Discussion)** - შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია - აღნიშნული შეფასების მეთოდი, გულისხმობს ლექტორის მხრიდან სტუდენტისთვის კონკრეტული ქეისის წარდგენას, (ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების ანალიზი და სინთეზი, დიფერენციალური დიაგნოზის გაკეთება, დიაგნოზის განსაზღვრა, კომპეტენციის შესაბამისად მკურნალობის გეგმის შემუშავება), რომელიც სტუდენტმა, დროის დათქმულ მონაკვეთში, უნდა გაანალიზოს ან ამოხსნას. ქეისის საშუალებით ლექტორი ამოწმებს სტუდენტის კლინიკური აზროვნების, დასკვნის გაკეთებისა და ამ პროცესის დოკუმენტირების უნარს, კომპლექსური საკითხის/პრობლემის გაცნობიერების და მისი გასაჭირისთვის ორიგინალური გზების მოძიებას;
- **სწავლება სიმულატორების გამოყენებით** - „სიმულაცია არ ცვლის გამოცდილებას რეალურ პაციენტებთან“. სიმულაციის გამოყენება სასწავლო გეგმის ადრეულ წლებში არა მხოლოდ ამზადებს სტუდენტებს პაციენტებთან მათი გამოცდილებისთვის, არამედ ხელს უწყობს უფრო ავთენტური სწავლის გამოცდილებას. "ჰიბრიდული" სიმულაცია, სადაც მანეკენი შერწყმულია სიმულაციურ პაციენტთან, გთავაზობთ უპირატესობებს. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ რთული პრაქტიკული უნარები სიმულირებულ პაციენტთან კომუნიკაციის დროს. ძირითადად გამოიყენება პროცედურული უნარების

სწავლებისთვის - შემოთავაზებულია პროცედურული ტრენინგის ექვსსაფეხურიანი ჩარჩო:

1. სწავლება- საჭირო ცოდნის შეძენა;
2. დანახვა - პროცედურაზე დაკვირვება;
3. ვარჯიში - სიმულატორზე ვარჯიში, უნარების განვითარება;
4. დამტკიცება - უნარების დაუფლების (მასტერინგი) დემოსტრირება სიმულატორზე;
5. გაკეთება - პროცედურის განხორციელება (პაციენტზე მეთვალყურეობის ქვეშ);
6. შენარჩუნება - კლინიკური პრაქტიკის გაგრძელება.

- **სწავლება SP/Real პაციენტთან ერთად** – SP პაციენტი არის პიროვნება, რომელსაც აქვს გავლილი ტრენინგის სხვადასხვა დონე, რათა განასახიეროს შესაბამისი როლი (პაციენტის). რეალური პაციენტი - პირი, რომელიც ჩაერთვება სწავლების პროცესში, უნდა გაიარონ ტრენინგი, რათა წარმოადგინონ თავიანთი სამედიცინო ისტორია და შედეგები (findings) სწავლებისა და შეფასების მიზნით, ისევე, როგორც სიმულირებული პაციენტებმა. ვირტუალური პაციენტები ელექტრონულად სიმულირებული რეალური პაციენტებია. მათი გამოყენება შესაძლებელია რეალურ ცხოვრებაში არსებული სცენარების ინტერაქტიურ კომპიუტერულ სიმულაციებში. ლაბორატორიული სამუშაო უფრო თვალსაჩინო მეთოდია და პროცესების ვიზუალიზაციის მეტ საშუალებას იძლევა. სტუდენტი ჩართულია კვლევის / გამოკვლევის - პროცესში. ლაბორატორიული მუშაობა მოიცავს ექსპერიმენტს, ან ჰისტოლოგიურ/ბიოქიმიურ/ფიზიოლოგიურ და სხვა კვლევებს ადამიანის ბიოლოგიური ნიმუშებიდან. ლაბორატორიული მუშაობა გამოიყენება კლინიკური სიმულაციების სწავლების პროცესში, სადაც სტუდენტი სრულიად უსაფრთხოდ ეუფლება ზოგადი პრაქტიკის ექიმის კომპეტენციისათვის აუცილებელ სამედიცინო მანიპულაციებსა და პროცედურებს;
- **შემთხვევის შესწავლა** – კურსის ხელმძღვანელი თავის სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რაც ხელს უწყობს თემის სრულყოფილად შესწავლას. პროცესი ეხმარება სტუდენტებს გააუმჯობესონ კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარები **და სხვა.**

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია შემდეგი შეფასების მეთოდები:

როგორც წესი სტუდენტის შეფასების მიღწევა ხორციელდება შეფასების ფორმებით:

- შუალედური (მრავალჯერადი) შეფასება - მაქსიმალური შეფასების 40%;
- შუალედური გამოცდის შეფასება - მაქსიმალური შეფასების 20%;
- დასკვნითი (ერთჯერადი) შეფასება - მაქსიმალური შეფასების 40%.

შეფასების მეთოდები (შეფასების საშუალება): ლაბორატორიული სამუშაო, MCQ, OSCE, OSCE პრაქტიკული სამუშაო, ზეპირი გამოკითხვა, კითხვა - პასუხი, პრეზენტაცია, როლური თამაში, CBL შეფასება და სხვ. (იხ. სილაბუსები).

შეფასების კრიტერიუმი: შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე და დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსებში. შეფასების თითოეულ ფორმას (შუალედური შეფასება, შუალედური გამოცდა, დასკვნითი) განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც, სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა

სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შეფასებების მინიმალური კომპეტენციის დაკმაყოფილება სავალდებულოა.

შენიშვნა:

კონკრეტული აქტივობების ან მათი კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. სასწავლო კურსების განმახორციელებელი ლექტორები სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით თავად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ სხვადასხვა მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსებში.

ლექციები ინტერაქციულია. მათი დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა, სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სწავლის ორიენტირების ჩამოყალიბება. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე. სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მუშაობის დანიშნულება ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება და მისი პრაქტიკული აპლიკაციაა. ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გააზრება, მოსაზრებების ჩამოყალიბება და გაზიარება, კამათი და პოზიციის არგუმენტირება, კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, პროფესიული საქმიანობის ჩვევების ფორმირება.

სტუდენტის მიღწევების შეფასება

უნივერსიტეტში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100 - ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100 (ასს), შესაბამისად, მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა. შეფასების თითოეულ მეთოდს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს.

სტუდენტის შეფასება:

ა. ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 - 100;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60;

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება მიმდინარე სემესტრში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად: - პრაქტიკული აქტივობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაცია და სხვ.,) და შუალედური გამოცდა. თითოეულს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების სისტემაში.

100 ბალიანი სისტემიდან შუასემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 60 ქულა, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

შენიშვნა: სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შეფასების ფორმები და კომპონენტები, მათი ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

- დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, ან სასწავლო კურსის დასრულებისას (კურაციულ სასწავლო კურსებში), რაც განსაზღვრულია სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით და ასახულია სილაბუსებში;
- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება;
- საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისათვის სტუდენტს უნდა ჰქონდეს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (I- VII სემესტრი).

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „საექთნო საქმე“ კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საექთნო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი უმაღლესი განათლების დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი დიპლომის დანართთან ერთად.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება ინსტიტუციის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი და პრაქტიკოსი სპეციალისტები.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური რესურსები

პროგრამით გათვალისწინებული მიზნების რეალიზაციისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა

უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით და თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, საპროფესოროებით, ბიბლიოთეკით (წიგნადი და ელექტრონული), კომპიუტერული ცენტრით, კომპიუტერული პროგრამებით, უწყვეტი ინტერნეტით, სიმულაციური ცენტრითა და ლაბორატორიებით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

ინსტიტუციას აქვს წვდომა შემდეგ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე:

- Cambridge Journals Online - ბაზა მოიცავს 360 დასახელების აკადემიურ ჟურნალს და 30 000 - ზე მეტი დასახელების ელექტრონულ წიგნს
- e-Duke Journals Scholarly Collection – ბაზა ღია წვდომის საშუალებას იძლევა Duke University Press-ის მიერ გამოცემულ წიგნებსა და ჟურნალებზე. ეს გამომცემლობა ყოველწლიურად გამოსცემს 120 დასახელების ახალ წიგნსა და 50-ზე მეტ ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალს სხვადასხვა სამეცნიერო დარგში;
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books – ბაზა მოიცავს სამეცნიერო კვლევებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ენციკლოპედიებს და ჟურნალებს მათ მიერ გამოცემულ ავტორებს შორის 14 ნობელის პრემიის ლაურეატია;
- IMechE Journals – ბაზა მოიცავს სამეცნიერო ჟურნალებს ჯანდაცვისა და ბიოსამედიცინო სფეროებში, ინჟინერიისა და ფიზიკის მეცნიერებებში;
- Royal Society Journals Collection – ბაზა მოიცავს ბიოლოგიის, ფიზიკისა და საინჟინრო-მათემატიკურ მეცნიერებებს, გარემოსა და კლიმატის შესახებ მიმართულებებს და სხვ.;
- SAGE Journals – ბაზა მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებების 900-ზე მეტი დასახელების ჟურნალს და 700 000-ზე მეტ პუბლიკაციას. ჩვენი მომხმარებლისათვის მასალებზე წვდომა შესაძლებელია 1999 წლიდან დღემდე გამოქვეყნებულ რესურსებზე;
- Openedition Journals - ბაზა აერთიანებს 4 პლატფორმას, რომელიც ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ელექტრონულ რესურსებს მოიცავს;
- Edward Elgar Publishing Journals;
- Mathematical Sciences Publishers Journals.
- PubMed - PubMed არის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სამედიცინო ბიბლიოთეკისა (NLM) და ეროვნულ ბიოტექნოლოგიურ ინფორმაციის ცენტრის (NCBI) მიერ უზრუნველყოფილი საძიებო პლატფორმა, რომელიც MEDLINE - ის, სიცოცხლის მეცნიერებების ჟურნალებისა და ონლაინ წიგნების 36-ზე მეტ მილიონ ჩანაწერს აერთიანებს;
- Cochrane Library - **კოხრენის ბიბლიოთეკა (Cochrane Library)** არის სანდო სამეცნიერო მონაცემთა ბაზა, საექთნო პრაქტიკის თვალსაზრისით, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რესურსს, რომელიც ეხმარება ექთნებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ის მოიცავს სისტემატურ მიმოხილვებს თემებზე, კოხრენის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი კვლევები ეფუძნება მაღალი ხარისხის კლინიკურ მტკიცებულებებს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო, ეფექტური და თანამედროვე საექთნო ჩარევების დაგეგმვასა და შესრულებას.
- ERIC (Education Resources Information Center) - ERIC არის მნიშვნელოვანი რესურსი ექთნებისთვის,

მასწავლებლებისთვის და სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ექთნობის სწავლების მეთოდებით, კლინიკური სწავლების შეფასებით, სიმულაციური სწავლებით, ინტერპროფესიული განათლებითა და პროფესიული განვითარებით.

სწავლება ხორციელდება როგორც საუნივერსიტეტო ბაზაზე არსებული ლაბორატორიულ სივრცეში, ასევე კლინიკებში რომლებიც უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო ფართითა და სალექციო დარბაზებით, სტუდენტებისათვის კლინიკებიდან ობიექტებიდან ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო ბაზა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კლინიკური კომპონენტის უზრუნველყოფაზე, სტუდენტთა აქტივობის წახალისებაზე, ინტელექტუალური რესურსის მოზიდვაზე და სხვა.

საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო - მეთოდური უზრუნველყოფა

სასწავლო პროცესი მეთოდურად უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით, რომელიც ემყარება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებებს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო - მეთოდური მასალით, შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებით, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და საინფორმაციო წყაროებით.

დანართი: კურიკულუმი (სასწავლო გეგმა) და რუკები.